№1554 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

## სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. 2015 წელს სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს 544 894 (ხუთას ორმოცდაოთხი ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის:

ა) ახმეტის მუნიციპალიტეტს – 200 000 (ორასი ათასი) ლარი;

ბ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – 180 817 (ას ოთხმოცი ათას რვაას ჩვიდმეტი) ლარი;

გ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარი;

დ) ხობის მუნიციპალიტეტს – 34 077 (ოცდათოთხმეტი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის $3^1$ პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ხობის, ზუგდიდისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს უფლება მიეცეთ, მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები განახორციელონ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**